4 (16) სეკტემბერს 1869. № 36. მეოთხე წელიწადი.

# დროება

## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

**გაზეთის ფასი**

გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში: | გაუგზავნელათ:
ერთის წლისა — 7 მან. | — — — 6 მან.
ნახევარის წლისა — 4 — | — — — 3 — 50 კ.
სამის თვისა — 2 — 50 კ. | — — — 2 —
ცალკე ერთის ნუმრისა გაუგზავნელათ — 3 შაური.
„დროება" გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით.

**ხელის-მოწერა მიიღება:**

ტფილისში „დროების" რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზედ, ბებუთოვის სახლში ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ контору редакціи грузинской газеты „ВРЕМЯ".
რედაქციის კანტორაში მიიღება ყოველ-გვარი განცხადება სხვა და სხვა ენებზედ. ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის ჩვეულებრივის ასოებით გაზეთის სტრიქონზედ 8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

**შინაარსი:**

შინაგანი ცნობები: მუხრანიდან,—გურიიდან.—რუსეთის ამბები.—პოლიტიკა: ფრანცია.—ისპანია.—იტალია.—გერმანია.—ავსტრია.—საბერძნეთი.—ლენიეს პროცესსი.—ლექსი.—სხვა და სხვა ამბავი.—ფოშტა-ტელეგრაფი.—სავაჭრო ცნობები.—ს ბიბლიოგრაფიო ცნობები.—წიგნი რედაქტორთან.—ცნობები მთიელებზე.—

## შინაგანი ცნობები.

**მუხრანი 31 მარიამობისთვეს.**

ამ კვირას ძალიან გახშირდა აქ ძროხისა და კამბეჩის ჭირი; ის გაჩნდა აგერ ათიოდ დღეა ქალაქიდგან მოყვანილის ორის ძროხისაგან, რომელნიც ავათმყოფები ყოფილიყვნენ. პირუტყვის ავათმყოფობა ამაში მდგომარეობს: სიცხე აქვს ძალიანი, რომლისაგამოთაც პირუტყვი წყალში შედის; პირიდგან სდის თეთრი დორბლი და ტანიდგან ასაქმებს, ზოგჯერ სისხლ ნარევათ. ამ ათიოდ დღეში ოცამდის ძროხა მოკვდა და ჭირით კი თითქმის მთელი ნახირები არიან ავათა. რომელიც კი კარგათ არის ავათმყოფებს არ აშორებენ. გლეხები ამბობენ, რომ" ღვთის რისხვა რაკი მოვიდა, საცა უნდა მალო არ გადურჩებაო".

ამ კვირას კაი წვიმები იყო და ყურძენს, როგორც ამბობენ, ნაცარი გააშორა. ყურძენი კარგათ არის მუხრანის ერთს ნახევარში; საზოგადოთ, სადაც უფრო ჭაობიანი ადგილია, ღვინის მოსავალს ელიან.

გაზ. „კავკაზში" იწერებიან, რომ ქ. ონში (რაჭას) იქაური მომრიგებელი მოსამართლის უ. ჩიქიანის ცოლს გაუხსნია უფასო საქალებო შკოლა, რომლის საქმე, როგორც კორესპოდენტს გაუგია, კარგათ მიდის; შკოლაში ასწავლიან წერა-კითხვას რუსულათ და ქართულათ, სამღვთო-წერილს, ანგარიშს და, მგონიაო, ამბობს კორესპოდენტი, ხელსაქმეს და სიფაქიზესაც.—

პურის, სიმინდისა და ღვინის მოსავალი რაჭის უეზდში წელს კარგი არისო, მაგრამ ქუთაისის და შორაპნის უეზდებში კი ხანგრძლივს გვალვას და აღმოსავლეთის ქარს ძალიან დაუზიანებია პური და განსაკუთრებით სიმინდი; ასე რომ შორაპნის უეზდს მაინც ძალიან გაუჭირდება ამ ზამთარში საქმეო.— ქუთაისში ივლისის დასასრულიდან დაწყებილი საშინელი სიცხეები ყოფილა. მაგრამ 23 აგვისტოს, ღვთის მადლით, წვიმა მოსულა და იმას ცოტათი შეუგრილებია ჰავა.—

შამახიდგან იწერებიან კავკაზში აგვისტოს 22-ს, რომ აქ გუშინ 3 საათზე ისეთი მიწის ძვრა ყოფილა, რომ არავის ახსოვს ამ გვარიო; თითქმის 1859-შიაც არა ყოფილა ასე ძრიელიო. თუმც ახლანდელი მოკლე ხანს ყოფილა, სულ 10 სეკუნდს, (1859 წ. 30 სეკუნდის განმავლობაში იყო), მაგრამ მაინც დიდი ზიანი მისცემია ქალაქს. მომატებული ნაწილი შენობაებისა სულ დაზიანებულა. რუსების ნაწილი, რომელსაც მალაკნის სლობოდკას ეძახიან, და სომხისა უფრო მომატებულათ დაზიანებულა. მაღლობაზე გაშენებული ქალაქის შენობაები ნახევარზე მეტი დაქცეულია თურმე. ჩინოვნიკობა სულ რუსის ნაწილში სცხოვრობდნენ და ახლა გამოსულან და ზოგი ქალაქის ბაღში სცხოვრებს კარვებში, ზოგს ხელათ აუშენებიათ ქოხები და შიგ დამდგარან. ტელლეგრაფის აპპარატიც გაფუჭებულა ჩამონგრეული კედლისაგან და ისიც კარავში სდგას.—ზამთარი მოახლოებულია და სახლების შოვნა, რასაკვირველია, ძალიან საჭიროა ყოველი აქაური მდგმურისთვის; მართალია, საცა თათრები დგანან, იქ მაგრე რიგათ არ დაზიანებულან სახლები, მაგრამ იქ კაცი სადგომ სახლს ვერ იშოვის.—თუმცა ჯერ არ გამოუკვლევიათ სრულათ ზიანი, მაგრამ ის კი იციან, რომ ერთი ოთხი წლის ყმაწვილი და სამი ცხენი დაუტანია სახლის დაქცევის დროს.—გარშემო სოფლებშიაც ყოფილა მიწის ძვრა. ერთს სოფელში სუნდში, რომელიც შამახიაზე 15 ვერსზეა აღმოსავლეთისაკენ, სახლები სულ დაქცეულა და ორი კაციც დაუტანია.—

## გურიიდან.

გურიაში მყოფი კაცებიდან ხშირათ გამიგონია, რომ „ნაგომრობა" ძალიან კარგი სანახავიაო და ამიტომ დიდი ხანია მინდოდა იმ დროს იქ დავსწრებოდი; მაგრამ წლამდი როგორღაც ვერ მოვახერხე.—გწერთ რამდენსამე სიტყვას იმ საგნებზე, რომლებთაც უფრო მიაქციეს, იქ ყოფნის დროს, ჩემი ყურადღება.

ნაგომარი კარგა მოზდო სოფელია, რომელშიაც ყოველ წელიწადს 17 ივლისიდან თითქმის 1 აგვისტომდი არის ხოლმე იარმუკობა. სოფელში ოციოდ დუქანი ძლივს მოიპოვება, მაგრამ იარმუკის დროს ვაჭრები აშენებენ ხოლმე აქ კარვებს, აწყობენ შიგ ყოველგვარ საქონელს და ამ ნაირათ ვაჭრობენ. ვაჭრობის გარდა, აქ ხშირათ ბევრი დროს გასატარებლათაც მოდის.—უნდა იცოდეთ, რომ ნაგომრობაზე თვითონ გურულებს გარდა, მოდიან აგრეთვე ბევრი იმერლები, მეგრელები და თითქმის ტიბილისის გუბერნიიდანაც. უმეტესი ნაწილი ვაჭრებისა კი ქუთაისიდან, ფოთიდან, ზუგდითიდან და სენაკიდან არიან; ისინი აიყრებიან ხოლმე თავის საქონლით და ჩამოდიან აქ სავაჭროთ. საკვირველ სანახავს წარმოადგენენ ამ დროს ნაგომრის გარეშემო ადგილები: აქ შეხვდებით თქვენ თითქმის ყოველ გვარ კავკაზიის კაცს; ისინი იყრიან ალაგ-ალაგ თავს და ზოგან ცეკვავენ, ზოგან ჯირითობენ, ზოგან ბურთაობენ და ზოგან კი თავის დაუვიწყარ „მეგონას" და „მანანას" იმღერიან.—

სხვა და სხვა საქონლებში განსაკუთრებით მიაქცევს ყურადღებას თითონ გურული ხელობის ქილობები და ურიცხვი თიხის ჭურჭლები; მე მეგონა, რომ ყოველმა გურულმა იცის ქილობის დაწნა, მაგრამ, როგორც მერე შევიტყე, უმეტესი ნაწილი აქ შემოსატანი ქილობებისა კეთდება თურმე სოფ. ლანჩხუთს; მე დიდის სიამოვნებით დავცქეროდი მშვენიერი ხელობის დოქებს და სურებს და ოსტატურათ დაწნულ ქილობებს.

ყველაზე უფრო მომეწონა მე გურულების გულწრფელობა, მათი მხიარული ხასიათი და სტუმრის პატივის ცემა; იმათი პატიოსნობა, სიდარდიმანდე, ყველაფერ საქმეში სიმსწრაფლე ხომ განთქმულია; გურულს რომ შეხედო და დაელაპარაკო—ისე გეგონება, ცეცხლი ეკიდებაო; სანამ შენ შენს აზრს გამოთქვამდე და სიტყვას გაათავებდე, ის მიმხვდა-

---

## წიგნი რედაქტორთან.

უფ. რედაქტორო! თქვენი გაზეთის მე—33 და 34 ნომრებში იყო დაბეჭდილი უ. სკანდელის „შენიშვნები"—„ქვეითათ და რკინის გზაში". ამ „შენიშვნების" კითხვამ აღძრა ჩემში ზოგიერთი აზრები, რომელზედაც მე მსურს აქ მოლაპარაკება.—იმედი მაქვს, რომ ამ ჩემს საზოგადო და უ. სკანდელის „შენიშვნებზედ" შენიშვნებს მისცემთ ადგილს თქვენი პატივცემული გაზეთის მომავალ №-ში.

თავიდანვე უნდა მოგახსენოთ, რომ უ. სკანდელის „შენიშვნებში" გარეგანმა ფორმამ უფრო მიიქცია ჩემი ყურადღება, ვიდრე შინა-არსმა. მე ყოველთვის დარწმუნებული ვიყავი და ახლა კიდევ უფრო ვრწმუნდები იმაში, რომ ფორმას დიდი მნიშვნელობა აქვს ლიტერატურაში საზოგადოთ ყოველთვის და თავის ახალგაზდობის დროს—განსაკუთრებით. ამბობენ, რომ იმ სასარგებლო აზრებმა, რომლებზედაც ქადაგობდნენ რუსულ ლიტერატურაში 1855 წლიდან, მარტო მაშინ მოიტანეს ნამდვილი სარგებლობა და მარტო მაშინ ჰქონდათ მკითხველების მომეტებულ ნაწილზე გავლენა, როცა რომანებში და მოთხრობაებში გაიყვანეს ისინი და როცა ამ რიგათ უბრალო მკითხველებისთვისაც უფრო ადვილათ გასაგები და საკითხავი შეიქნენ.—მე სრულებით არ ვამბობ, რომ ფორმას შეუძლიან შინაარსის ნაკლულევანების გამოყიდვა; მე მინდა მხოლოთ ვთქვა, რომ ჩვენი ახლანდელი ლიტერატურის და მკითხველების მდგომარეობაში შინა-არსთან რიგიანი ფორმაც ძლიერ საჭიროა. დარწმუნებული ვარ—უ. სკანდელის „შენიშვნები" რომ ღრმათ, მშრალი და ძნელათ გასაგონი ენით ყოფილიყო დაწერილი, იმის ნახევარიც არ წაიკითხავდა იმას, რამდენსაც ახლა ექნება წაკითხული, დიდის სიამოვნებით.

ძალიან კარგი იქნება, რომ ჩვენ მწერლებს მუდამ ჰქონდესთ სახეში ჩვენი მკითხველების გაგება და იმათი მოთხოვნილება; უნდა ვიცოდეთ, რომ ისინი, არა თუ ღრმა აზროვანს და ძნელად გასაგებს სტატიებს, მოთხრობაებსა და რომანებსაც ძლივს ჰკითხულობენ; ჩვენდა სამწუხაროთ, უნდა ვსთქვათ, რომ საზოგადოთ კითხვის სარგებლობა და იმის აუცილებელი საჭიროება ჯერ ჩვენ მკითხველებს არ ესმის; უმეტესი ნაწილი იმათგანი კითხულობს რასმე მარტო სიამოვნებისათვის და დროს-გასატარებლათ. მაშ ეხლანდელი მწერალი ვალდებულია ისე სწეროს, რომ იმის ნაწერიდგან სიამოვნება და სარგებლობა ერთათ მიიღოს მკითხველმა; ეხლანდელი ჩვენი მწერალი, ჩემი აზრით, სხვათა შორის, იმასაც უნდა სცდილობდეს, რომ კითხვა შეაყვაროს მკითხველს.—ამიტომაც მე ძალიან მიამა, როცა დავინახე „დროებაში" ამ პლანზე დაწერილი უ. სკანდელის „შენიშვნები".—

ძალიან მაკვირვებს ის, რომ ჩვენი მწერლები უფრო „სტატიებს" ეტანებიან და მოთხრობაებს და რომანებს კი სულ არ უგდებენ ყურადღებას, მაშინ როდესაც მოთხრობაებს და რომანებს (რასაკვირველია ხეირიანებს) ეხლანდელ ჩვენი ლიტერატურის მდგომარეობაში პირველი ადგილი უნდა ეჭიროს; „მნათობის" რედაქცია რომ მიაქცევდეს ამ საგანს ჯეროვან ყურადღებას, მე მგონია, კარგს იზამს; თორემ გამოსულს ოთხს ნომერში არც ერთი მოთხრობა და რომანი არ დაბეჭდილა და არც დაუწყიათ ბეჭდვა „ლამანჩელი დონ-კიხოტის" გარდა.—ჩვენი ცხოვრებიდგან და ჩვენი ავტორების მოთხრობაები და რომანები თუ არ არის, განა სხვა ენებზე ცოტაა; განა არ შეიძლება იმისთანაები გამოარჩიოს კაცმა იმათგან, რომლებსაც საზოგადო მნიშვნელობა ჰქონდეს?

არ შეგვიძლიან არ დაუმადლოთ უ. სკანდელს, რომელმანც რამდენიმე მშვენიერი აზრის გამოთქმა და თავის მოგზაურობის აწერა მოახერხა ისე, რომ ყოველი ჩვენი მკითხველი სიამოვნებით და არც უსარგებლოთ წაიკითხავს იმის „შენიშვნებს."

ერთი თქვენი გაზეთის მკითხველთაგანი.

ქ. ქუთაისი.

## კრება ცნობებისა კავკაზიის მთიელებზე.

(Сборн. свѣд. о Кавк. горцахъ; изд. Горскаго Упр. 1868 г.)

**მთიელების სიტყვიერება.**

მთიელებს თითქმის სრულებით არა აქვთ ის, რასაც ჩვენ ლიტერატურათ უწოდებთ; იმათი ლიტერატურა სწორეთ სიტყვიერებაა, ამიტომ რომ ყველა თავის ჭკუის ნაწარმოები იმათ ზეპირათ იციან და ერთი შთამომავლობიდან მეორემდი ამ რიგათ-სიტყვით გადადის ხოლმე. მთიელების სიტყვიერება შესდგება ლექსებისა, არაკებისა, ზღაპრებისა და ანდაზებისაგან. იმათი სწავლა და განათლება ყორანის ცოდნაზეა დამყარებული: ვინც უფრო კარგათ, გარკვევით იცის ყორანი, ის უფრო განათლებულ და მცოდნე კაცათ ითვლება ხოლმე იმათში. სხვა დაბეჭდილი, ან ხელთ ნაწერი წიგნები, რომლებიც უჩვენებდენ ლეკების ლიტერატურის არსებობას, თითქმის სრულებით არ მოიპოებიან.—ჩვენ მოვიყვანთ აქ უ. პ. უ.—ის სტატიიდან ერთს ზღაპარსა, რამდონიმე არაკს და იგავებს, რომ ცოტათი მაინც გავაცნოთ ჩვენი მკითხველი მთიელების ჭკუის ნაწარმოების მდგომარეობას.—

**ზღაპარი.**

მელა და მგელი.—ერთხელ მელას მოეპარა სადაც წიგნი, დაეჭირა ხელში და ჩაჩერებოდა შიგ. ამ დროს მივიდა მგელი და ჰკითხა:—ეს რა გაქვს ხელში? მელამ უთხრა: „წიგნი.—განა კითხვაც იცი? ჰკითხა მგელმა." ოცდა ათი წელიწალია სხვებს ვასწავლი და მე არ მეცოდინება?—მაშ ჩემ შვილებსაც გამოგიგზავნი და იმათაც ასწავლე, უთხრა მგელმა. „გატონი ბრძანდები. მგელმა მოიყვანა თავის შვილები, ჩააბარა მელას და ჰკითხა:—ახლა რა გინდა შენი შრომის ფასათ? „მე მინდა მარტო, რომ შენ მშვიდობით ბრძანდებოდე; ამას გარდა ამ ზამთარში შენ შვი-

რია—რა უნდა თქვა და ერთს მინუტში ორას სიტყვიან პასუხს მოგაყრის.—

ერთს საღამოს მე დამპატიჟა ვახშმათ თ. უ. თ—მ; სხვათა შორის იმ საღამოს იქ იყო პრინცი მიურატი, თავის მეუღლით. როგორც მოგეხსენებათ, ამისთანა შემთხვევებში ჩვენებურ კაცს უსიმღეროთ და უყანწოთ გაძლება არ შეუძლია; მართლაც შუა ვახშმიდან შეიქნა გაცხარებული „მრავალ ჟამიერის“ სიმღერა, ყანწების ტრიალი და სტაქნების იქით აქეთ სროლა, ასე რომ მე შიშით კინაღამ სტოლს ქვეშ შევძვერი; ღმერთმა უშველოს კიდევ რ. თ—ეს, რომელიც ჩემს მაგივრათ სტაქნებს იჭირავდა, თორემ, მე დარწმუნებული ვარ, თავი მთლათ არ გამომყვებოდა იქიდან.—ამ ნაირ შექცევაში გაათენეს იმათ მთელი ღამე.—ყველამ იცის, რომ გურულები გათქმული არიან ჩონგურის დაკვრაში; ბევრი კარგი მეჩონგურეების დაკვრა გამიგონია მე იმერეთში და მეგრელიაში, მაგრამ ისეთი სასიამოვნო ხმების გამოყვანა თუ შეიძლება ჩონგურიდან, როგორიც ერთმა გურულმა გამოიყვანა იქ, ამას სწორეთ ვერ მოვიფიქრებდი.—მეორე დღეს საღამომდი იქ დავრჩი, საღამოს კი გამოვსწიე შინისაკენ.—

გ. ჭალადიდელი.

1869 წ. 6 აგვისტოს
სოფ. ჭალადიდს.

---

## რუსეთის ამბები.

„მმართებლობის უწყებაში“ არის ლივადიიდან ტელეგრამა, 27 აგვისტოს, რომლიდგანაც ვცნობ, რომ ხელმწიფე იმპერატორი რამდენიმე დღეს შეუძლოთ ყოფილა, მაგრამ ახლა კი სრულებით მორჩენილა და წამოსვლასაც აპირებს იქიდან. მისი მეუღლე ხელმწიფე მარიამ ალექსანდრეს ასული გაციებისაგან ავათ არისო, მაგრამ ისე კი არა რომ რამე უჭირდეს.—

---

მოსკოვიდგან იწერებიან „პეტერბურღის უწყებაებში“, რომ აქ ქალების სასწავლებელთან იხსნება პედაგოგიური კურსებიო.

ამ სასწავლებელის აზრი ის არის, რომ მისცეს ქალს შეძლებისა და გვარათ იმდენათ სრული საზოგადო განათლება, რომ იქიდან გამოსულს შეეძლოს სწავლება სასწავლებლებში.—ამიტომ კურსიც ორი უნდა იყოს: პროგიმნაზიური და პედაგოგიური. პირველი მისცემს საზოგადოთ ცოდნას და მეორე დაახელოვნებს იმას სხვისთვის სწავლის გარდაცემაში.

პროგიმნაზიაში არის ოთხი კურსი; თითოში წელიწად ნახევარი უნდა დარჩეს მოსწავლე ქალი.—

ყველა მოსწავლე გარეშენი არიან. პროგიმნაზიაში არის 30 სტიპენდია ღარიბების ქალებისათვის. მაგრამ, ვინც სახელმწიფო, ან სხვის ხარჯზე იზრდება, იმან უსათუოთ უნდა შეასრულოს სწავლა და შემდეგ მასწავლებლათ უნდა იყოს.—ფასი სწავლისა პროგიმნაზიაში მხოლოთ რუსული საგნებისა 30 მანეთია და სულ საერთოთ 50 მან. ვინც პროგიმნაზიაში შეასრულებს კურსს და მოისურვებს მასწავლებლათ შესვლას, იმათ პედაგოგიის კურსი უნდა მოისმინონ.—

პედაგოგიის კურსი ორათ იყოფა: წელიწადნახევრიანი, რომელშიაც ამზადებენ მასწავლებლებს მოსამზადებელ შკოლებისათვის და სამიწელიწადიანი; აქ ქალებს პროგიმნაზიისათვის ამზადებენ მასწავლებლათ. ფასი არის 100 მანეთი.

პირველი კურსის პროგრამა: სამღვთო წერილი, რუსული ენა, არითმეტიკა, გეომეტრიის დასაწყისი, ჩქარი წერა, ცნობაები ბუნებითი საგნებიდგან, ხელსაქმე (ტანისამოსის კერვა). მეორე კურსს ემატება: ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკიდგან ცნობები, ბუნებითი ისტორია, კლასის გიგიენა, გიმნასტიკა, კერვა და ჭრა შინაური ტანისამოსისა. პროგიმნაზიაში და პედაგოგიის კლასებში ერთს და იგივე საგნებს ასწავლიან; განსხვავება ის არის მხოლოდ, რომ პირველში პრაკტიკული და მეორეში კი ტეორეტიკული სწავლა არის. ამასთან პედაგოგიის კურსებში მოსწავლეები ჯერ-ჯერით პროგიმნაზიაში დექურნობენ. ეს უკანასკნელი გარემოება აძლევს საშუალებას ყმაწვილებს ყველა საგანი თითონ კარგათ გამოიკვლიონ და მიეჩვიენენ კლასებში სწავლის მიმართულებას.

აქედგან სჩანს, რომ ამ სასწავლებელს სურს გაზარდოს საზოგადოებისათვის კარგი მასწავლებელი ქალები, რომლებიც ახლა ძალიან საჭირონი არიან. ამ ქალებს ეძლევათ მოწმობა თავიანთი სწავლისა და სასწავლებლის მთავრობა თითონვე სცდილობს იმათთვის ადგილის შოვნას.

სასწავლებელში არის გამართული ხელსაქმის შკოლაც, საცა ძალიან კარგათ სწავლობენ საკერავ მაშინაზე მუშაობას—ჭრას და კერვას. იქ შეგირდებს რაც უნდათ იმას სწავლობენ.—

---

„რუსის ინვალიდში“ არის შემდეგი შენიშვნა აგვისტოს 17-დგან:—„მმართებლობის მოამბეში“ იყო ცნობა, რომ ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად ბძანა: ერთს მღვდელს, რომელიც იყო გადამდგარი ამ ღირსებიდგან სამოქალაქო წოდებაში, მიეცეს ნება ახლავე შევიდეს სამოქალაქო სამსახურში, მხოლოთ ამ ეპარქიაში კი არა, საცა უწინ მღვდლათ იყო ის.—

გარდა ამისა ხალხის განათლების მინისტრმა გადასწყვიტა, რომ ის სემინარიელები, რომლებთაც კარგათ დაუსრულებიათ კურსი, უნივერსიტეტში უეგზამენოთ უნდა მიიღონ, (რასაკვირველია გამოსაცდელათ კი რომელიმე საგნის ეგზამენი უნდა დააჭერინონ, როგორც გიმნაზიელებსაც).—ამ გვარათ ახლა განსაკუთრებითი მდგომარეობა რუსის სასულიერო წოდების პირებისა ნელნელა ისპობა.—

---

# პოლიტიკა.

## ფრანცია.

პარიჟი, აგვისტოს 28-ს. პარიჟის ტელეგრაფის ბიურომ გამოაცხადა შემდეგი ტელეგრამმა ლონდონიდგან აგვისტოს 20-ს მიღებული: „ლონდონში ძალიან დიდი მოძრაობა მოახდინა პარიჟიდგან კერძოთ მიღებულმა ამბავმა, ვითომ ნაპოლეონს ეთქვას, რომ „მე შეუდგები ნელნელა ჯარის გაუქმებას, თუ რუსეთი, პრუსსია, ავსტრია და იტალია ჩემს მაგალითს მიჰყვებიან“.—იმპერატორმა დაუმატაო, ამბობენ „მე დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან საჭიროა მოსპობა იმ ალიაქოთის, რომელსაც ევროპაშია ახდენს თოფიარაღი“. შინაგანი პოლიტიკის მიმართულებაზე იმპერატორმა სთქვა შემდეგი: „მე მსურს ვიცხოვრო სიმშვიდით, როგორც ჩემს ხალხთან, აგრეთვე სხვებთან. ფრანციას ექმნება მაშინ ვრცელი ასპარეზი თავის გონებისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესობისათვის“.

— გაზეთი „Neue freie Presse“ ამბობს ამ საგანზე: „ჩვენ ამას ვაცხადებთ იმ ფორმით, როგორც სხვა გაზეთებში არის ის გამოცხადებული. მართლათ თუ ეს ჯარის მოშლა მოხდა, მაშინ ყველა ხალხი მოისვენებს იმ საშინელი მძიმე ტვირთისაგან, რომელიც აწევს იმას ჯარის შენახვისაგან. ძალიან მოგვწონს ეს,—ვითომც ნაპოლეონისაგან ნათქვამი, სიტყვები. თუ ეს აზრი ასრულდა, მერე ყველაფერი ადვილია; ხალხი ყველა ახლანდელს კეთილსა და სასარგებლო აზრებს ადვილათ აასრულებს.“

## იტალია.

ამ ცოტა ხანში ფლორენციაში იყო ძალიან საინტერესო პროცესსი ერთი მღვდლის წინაალმდეგ, რომელსაც უნდოდა ცოლი შეერთო. ერთმა ვენეცელმა მღვდელმა მოიწადინა დაქორწილება, მაგრამ სამღვდელო წოდების მთავრობამ დაუშალა; ამაზე შესდგა საქმე. მღვდლის დამცველათ იყო ერთი გამოჩენილი ადვოკატი ბარონელი და საქმეც მოიგო. მღვდელმა ერთ კვირაზე ჯვარი დაიწერა. რაკი ამან მოიგო საქმე, მერე ამას ბევრმა მღვდლებმა და აბბატებმა მიჰბაძეს, ასე რომ ახლა ფლორენციის სასამართლოში ორმოცდა ჩვიდმეტი მღვდლის საქმესა სთვლიან, რომლებსაც მისცემიათ გადაწყვეტილებით ცოლის შერთვის უფლება. ეს ამბავი ვგონებ ძალიან შეაძრწუნებს იმ მორალისტებს, რომლებსაც ექნებათ ყრილობა რომში მსოფლიო კრებაზე.“

## ისპანია.

მადრიდი, აგვისტოს 26-ს.—სამხედრო მინისტერი—პრიმი—ახლა წავიდა სამგზავროთ ფრანციაში; აქედგან სჩანს, რომ მმართებლობა აღარაფერ მნიშვნელობას აღარ აძლევს დანარჩენი კარლისტების მოძრაობას. სამხედრო მინისტრისა და მინისტრების რჩევაში პრეზიდენტობის თანამდებობას ახლა აასრულებს, პრიმის მაგიერათ, ზღვის მინისტრი—ტოპეტე.

— აგვისტოს 27-ს. „Imperial“-ი გვაცნობებს, რომ დეპუტატმა მარტოსმა გამოუგზავნა პრიმს წიგნი, რომელშიაც ამტკიცებს პოლიტიკური დანაშაულობისათვის სიკვდილით დასჯის უსარგებლობას. პრიმს ეს წიგნი მინისტრების რჩევისათვის წარუდგენია.

---

ლებს შეცივდება, თუ ქურქები არ შეუკერეთ; ამისთვის რამდენიმე ცხვრის ტყავია საჭირო“. მგელმა იფიქრა, რომ ცარიელი ცხვრის ტყავის მიტანა სირცხვილიაო და მიურეკა მელას ოცდა ათი ცოცხალი ცხვარი. „ეხლა გაზაფხულამდი შენ ნუ გაირჯები, ნუ მოხვალ, უთხრა მელამ. მგელი დაიმედებული წავიდა შინ; მელამ კი ჯერ იმის შვილებს მოუსო ხელი და მერე ცხვრებიც შეჭამა. გაზაფხულზე მოდის მგელი;—ჩემი შვილები სად არიან? „დღეს უქმი დღეა და შენი შვილები სასეირნოთ წავიდნენო, უთხრა მელამ, ხვალ თუ მოხვალ, ყველას ნახავ.“ მგელი რო წავიდა, მელამ იფიქრა, რომ, თუ არ გავიქეცი აქედან, ცუდათ იქნება ჩემი საქმეო; იმ წამსვე აებარგა, წავიდა და დადგა ერთს წისქვილში. მეორე დღე მოვიდა მელის სახლში მგელი, მაგრამ კაცი არ დახვდა იქ; იმ წამსვე იფიქრა, რომ სწორეთ მელამ მომატყუილაო, საშინლათ გაჯავრდა და გამოუდგა იმას; ბოლოს მიაგნო წისქვილს და, დაინახა თუ არა მელა, მივარდა ყელში. „მე რას მერჩი, რა დაგიშავე? უთხრა მელამ.—ჩემი შვილები რა უყავი? ჰკითხა გაცხარებულმა მგელმა. „რომელი შვილები? ჰკითხა მელიამაც, თავის მხრით.—მაშ ვის მივაბარე მე წიგნის სასწავლეილათ ჩემი შვილები?—აბა იფიქრე, უთხრა მელამ, ვინ მე და ვინ წიგნის სწავლება? ჩემი წინაპრებიც აქ მუშაობდენ, ამ წისქვილზე, მამაჩემი აქ მოკვდა და მე ეს ოცი წელიწადია აქედან ფეხი არ მომიცვლია.—თუ ასეა, მაშ მოდი, მეც მასწავლე მეწისქვილობა, სთხოვა მგელმა. „კარგი, შედევი შენ თავი წისქვილის ქვის ქვეშ და მე აგიხსნი იმის მოწყობილობას; მგელმა შედვა თავი წისქვილის ქვის ძვეშ; მელა მაშინვე გაიქცა და აუშვა წყალი; წისქვილის ქვამ დაიწყო ტრიალი და სულ მოგლიჯა საწყალ მგელს თავზე ტყავი. მელა გაიქცა მთისკენ, დაჯდა იქ და დაიწყო გოდორის წვნა. მგელი როგორც იყო გადარჩა წისქვილში და გაიქცა თავის მტრის მოსანახავათ; ბოლოს მიაგნო იმას და მივარდა შესაჭმელათ. „ძმობილო, რას მერჩი, რა დამიშავებია, მითხარი, მე შენთვის?—შეჩვენებულო, არ გეყო, რომ შვილები შემიჭამე, ჩემი მოკვლაც გინდოდა და ეხლა კიდევ უნდა მომატყუილო?“ ღმერთმანი, ის მე არ ვყოფილვარ, უთხრა მელამ; ჩემი წინაპრებისა და ჩემი ხელობაც გოდორის წვნა არის. მგელმა დაუჯერა;—მაშ, თუ ასეა, მეც მასწავლე შენი ხელობა. „ბატონი ხარ; შემოძვერი ამ გოდორში, მიყურე იქიდან—როგორ ვწნავ და უფრო მალე დაისწავლი ხელობას. მგელი მართლა შეძვრა; მელამ უცებ მოუკრა თავი გოდორს და გადააგორა მთიდან იმაში შემწყვდეული მგელი. მთის ძირში მენახირეები ცხვრებს მწყევსაცდენ; მელამ დაუძახა იმათ: „მენახირეებო, მაგ გოდორში თქვენი მტერია და ახლა გაქვთ დრო! მენახირეებმა, დაინახეს თუ არა გოდორში მგელი, დაესიენ და იმ წამსვე სული გააგდებინეს.—

შესანიშნავია, რომ ეს ზღაპარი ბევრით ჩამოგავს სხვა ხალხების ზღაპრებს; აქ, როგორც ჩვენებურ და რუსულ ზღაპრებში, მელა მცბიერათ და ვერაგათ არის გამოყვანილი.—

ეხლა მოვიყვანთ რამდენიმე არაკებს მოლა ნასრ-ედინზე. ის ძალიან განთქმულია თურმე დაღესტანში, ასე რომ, ვისაც უნდა ჰკითხო იქაურს, ყველა მოგიყვება რამდონიმე არაკს იმაზე; ლეკები ამბობენ, რომ მოლლა ნასრ-ედინი დიდი ხალიფი გარუნალ-რაშიდის დროს სცხოვრებდაო; ის ახალს სწავლას უქადაგებდა ხალხს და ამისთვის დევნა დაუწყეს; თავის შველისთვის იმან სისულელე მოიგონა და ხუმარათ დაიარებოდა. ზოგიერთი ხუმრობისთვის ნასრ-ედინს მოხვდებოდა ხოლმე, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიდა.

ერთხელ მოლლა ნასრ-ედინმა გამოართვა თავის მეზობელს დროებით დიდი ქვაბი; ერთი კვირის შემდეგ იმან ისევ დაუბრუნა პატრონს ქვაბი და ერთი პატარა ქვაბიც შიგ ჩადვა იმაში. —ეს რა არისო, ჰკითხა მეზობელმა. „ეს შენმა ქვაბმა შობა! უპასუხა მოლლა ნასრ-ედინმა; ქვაბის პატრონმა დაუმადლა და ორივე დაიტოვა.—

რამდენიმე დღის შემდეგ, მოლლა ნასრ-ედინი კიდევ მივიდა იმავ მეზობელთან და სთხოვა დიდი ქვაბი; მეზობელმა დიდის კმაყოფილებით ათხოვა; იქნება ღმერთმა ჰქნას და კიდევ დაბადოს პატარა ქვაბიო. მაგრამ გადის, ერთი კვირა, ორი, ერთი თვე, ორი თვე, ოთხი თვე, ჰხედავს ქვაბის პატრონი, რომ მოლლა ნასრ-ედინს ქვაბი არ მოაქვს; ბოლოს მივა იმასთან და სთხოვს თავის ქვაბს; „შენი ქვაბი მოკვდა! დაღონებით ეუბნება მოლლა ნასრ-ედინი.—როგორ თუ მოკვდა? გაუგონია კაცს რომ ქვაბი მომკვდარიყოს? დაიყვირა მეზობელმა. „მაშ რა გეგონა! უთხრა მოლლა ნასრ-ედინმა; შობა თუ შეეძლო, კიდევაც უნდა მომკვდარიყო როდესმე; მერე საწყალი შობიერობის დროს მოკვდა! დაუმატა იმან. მეზობელს არ უნდოდა ხალხის წინ თავის შერცხვენა, დაანება მოლლა ნასრ-ედინს თავი და გულდამწყდარი შინ წავიდა.

მეორე არაკი: ერთი მთიელი მიდის თავის მოხუცებულ მეზობელთან—და რამდენიმე დღის ვადით ვირსა სთხოვს. „ვირი შინ არა მყავს! უთხრა მოხუცებულმა. ამ დროს, რაღაც უბედურათ თავლიდამ შემოისმა საშინელი ვირის ყროყინი: ეე—უუ, ეე—უუ! —აი, შე კაცო, ეგერ არ ყვირის თავლაში? უთხრა მთიელმა. „როგორი სულელი და გაუზდელი კაცი ყოფილხარ, დაუყვირა მოხუცებულმა, ვირს უჯერი და მე, ჭაღარა—მოხუცებულს, კი არა!—

ერთს ბრმა მთიელს დაეჭირა ღამე ხელში სანთელი და დოქით წყალი მიჰქონდა წყაროდან. ვიღაც შემოხვდა გზაზე და უთხრა:—შენთვის სინათლე და სიბნელე ხომ სულ ერთია; მაშ სანთელი რას გიკეთებს? ბრმამ უპასუხა: „ეს სანთელი ჩემი მზის გასანათლებლათ კი არ მიჭირავს ხელში; ის იმიტომ დამაქვს, რომ შენისთანა ოხერი, რომ შემომხვდება გზაზე, არ დამეჯახოს და დოქი არ გამიტეხოს!—

## მ თ ი ე ლ ე ბ ი ს ი გ ა ვ ე ბ ი.

მაძღარს მშიერისა არა ესმის რა.
ყოველი კაცისთვის თავის სამშობლო—ბაღდადია *).
ვინც უჯაფოთ პურსა სჭამს, იმან ხეირიანი ჭამა არ იცის.
ვისაც სხვისი ბედნიერება არა სურს, ის თავისას ვერასოდეს ვერ მოესწრება.
თუ გინდა მზეში სანთელი აგინთია და თუგინდა უგუნურისთვის კეთილი სიტყვა გითქვამს—სულ ერთია.
მტერი ტუჩებით იკოცნება და კბილებით კი იკბინება.
ვინც პატარას რასმე ვერ დააფასებს, ის ვერც დიდის ფასს მიხვდება.
ენა უძვლოა.
რასაც დასთესავ, იმას მომკი.—

*) ბაღდადი უწინდელი არაბელების საუკეთესო დედა-ქალაქი იყო.

მღვდელი მილლა, რომელიც კარლისტების არეულობის გამო უნდა დაესაჯათ სიკვდილით, გაანთავისუფლეს ამ სასჯელისაგან.

— გაზეთები თხოულობენ სასტიკ სასჯელს იმ მღვდლებისათვის, რომელნიც ეხლანდელი მმართებლობის წინააღმდეგნი არიან.

## გერმანია.

ჰ ე ი დ ე ლ ბ ე რ გ ი, ა გ ვ ი ს ტ ო ს 28-ს. — იურისტების ყრილობამ თავის დღევანდელს სხდომაში მიიღო სამოქალაქო ქორწინება ყველასათვის ვალდებულებათ. ამის მერე ყრილობის პრეზიდენტმა, პროფესორმა ბლუნჩლიმ, დახურა სხდომა.—

## ავსტრია.

ვ ე ნ ა, ა ვ ვ ი ს ტ ო ს 25-ს. „Neue Freie Presse-ში დაბეჭდილია განკარგულება შინაგანი მინისტრისა, რომელიც აცხადებს, რომ ახლანდელი წესდებულებაები დღესასწაულების შემოკლების ნებას არ გვაძლევენო. ამის გამო, მინისტრის აზრით, თითონ ხალხზეა დამოკიდებული: იუქმებს ის რომელიმე უბრალო დღესასწაულებს, თუ არა.—

## საბერძნეთი.

გაზეთი „Times“ ამბობს შემდეგს ახლანდელ საბერძნეთის მდგომარეობაზე: „მას აქეთ რაც საბერძნეთი განთავისუფლებულა ჯერ არა ყოფილა ისე გავრცელებული თულობა, როგორც ახლაა; თითქმის ყველგან აქ არიან თულები და მთელი საბერძნეთის მცხოვრებნი დაშინებულნი არიან იმათაგან.— ატიკაში, რომელიც უფრო მშვიდობიანი ქვეყანაა, ვიდრე სხვა ადგილები, არ შეუძლიან კაცს ათინასა რამდენიმე ვერსი გაშორდეს უიმისოთ, რომ თულების ხელში ჩავარდნის შიში არა ჰქონდეს. თითონ ათინიდგან მოეტაცნათ რამდენიმე კაცი თულებს და ზოგი მოტყუებით წაეყვანათ. მმართებლობა ვერას ახერხებს ამ საქმეში და ზოგჯერ, როგორც ამბობენ, არც კი ჰსდევნის ავაზაკებსაო. მე არ მგონია, რომ ეს უკანასკნელი ხმები მართალი იყვენ, მაგრამ თულობის გავრცელებაში თითონ მმართებლობაც არის, ერთი ხმრით, დამნაშავე, ამიტომ რომ არეულობის დროს ის აძლევდა იმათ თოფ-იარაღს ოსმალოს საომრათ და ჰქონდა იმედი რომ ისინი გაანთავისუფლებდენ კანდიას. ახლა საბერძნეთის მმართებლობა ისეთს ულონობას აჩენს თავის ქვეშევრდომების დაცვაში, როგორიც არ არის იმ აზიის სახელმწიფოებში, რომელიც ჰსურთ მიხპონ ცივილიზაციის გავრცელებისათვის. იქნება ეს სულ მართალი იყოს, მაგრამ დრო არის ანგლიამ შეიტყოს, რომ მანამ საბერძნეთს არ დაუბრუნდება თავიანთი მემამულენი, მანამ არ იქნება იმისი კეთილმდგომარება. ეხლანდელი საბერძნეთის ცუდი მდგომარეობა არის შედეგი კანდიის არეულობის დამშვიდებისა, რომელიც ძალიან ძვირათ ულირდათ ბერძნებს. კანდია რომ საბერძნეთს შეერთებოდა, მაშინ არაფერი ამგვარი ურიგობა არ იქნებოდა იქ“.—

---

## ლენიეს პროცესსი.

ნოემბრის 15-ს 1847 წელსა ღამით მოედო ცეცხლი სოფელს ზიეში (ფრანციაში) ერთი 72 წლის მოხუცებული კაცის, სახელად ზეს, სახლს, რომელიც ცალკე ვენახში იყო აშენებული. სოფლის ხალხი იმწამსვე შეიყარა ცეცხლზე; ამათი მოსვლის დროს ჯერ ისევ წინა შენობა იწვოდა, მაგრამ მთელი შენობა იყო შიშში. მეზობლებს ეგონათ, რომ სახლის პატრონს ცეცხლით მოდებულ სახლში ეძინა და ამიტომ შევარდენ შიგ იმის გასაღვიძებლათ, მაგრამ ნახეს, რომ ის თავ გატეხილი ეგდო პოლზე სახლში და ფეხები კარებისკენა ჰქონდა. აქეთ იქით ორი ცარიელი ქვის თეფშები და ერთიც კალის კოვზი უპოვეს.

გვამი მაშინვე გამოიტანეს გარეთ; მაგრამ გონში ვერაფრით ვერ მოიყვანეს.—ცოტა ხნის შემდეგ ცეცხლი გააქრეს.—დილით 16 ნოემბერს მოვიდა აქ მომრიგებელი მოსამართლე, ექიმი და პოლიცია. მკვდარს თავზე იარა ჰქონდა და ტახტზედაც ხელის მოვლებისაგან სისხლის ლაქები ნახეს; იმ ადგილზე, საცა მკვდარი იდვა, არც სისხლის ნიშანი და არც ძალადობისა არა ჩნდა.—ამ გარემოებიდგან გაიგეს, რომ მოკლული სახლში არა ყოფილა მაშინ, როცა იმისთვის თავში დაუკრავთ; საფიქრებელია, რომ ის ამ დროს ყოფილა ეზოში და მერე სახლში შესულა.

ყველაფერი არწმუნებდა კაცს, რომ ბებერი კაცი ძალათ არის მოკლული. დოქტორმა გაშინჯა დაკრული ალაგი და ამოჩნდა, რომ ზესთვის კვერი დაუკრავთ.

სახლის ახლოს ეყარა კასრის და იმის სალტების ნამტვრევები; კასრს ღვინის სუნიც უდიოდა; აქედან შეიტყეს, რომ მომკვლელებს ღვინო წაუღიათ. ახლოს ურმის კვალიც ნახეს, მაგრამ, გამომძიებლის ფიქრით, ის კვალი ძველი იყო.—

პირველში გამომძიებელმა ვერავიზე ვერ მიიტანა ეჭვი, მაგრამ ხალხი კი იქაურ მასწავლებელ ლენიეს აბრალებდა ამ მკვლელობასა.—

ლენიე იყო ერთი გაკოტრებული კაცის შვილი; სწავლის შესრულების შემდეგ, იმას მისცეს მასწავლებლობის ადგილი სოფელს ზიეში. აქ იმის საქმე ძალიან კარგა მიდიოდა, ასე რომ ოთხს წელიწადში ერთი ორათ მოემატა შაგირდები და ამისთვის ჯილდოც მიიღო. ი, დედა მისი, და და მამა ერთათ სცხოვრობდენ.—მოკლულ ბებერ კაცთან ლენიეს ჰქონდა პირობის წერილი, რომ იმის სიკვდილის შემდეგ ფერმა, ვენახი და სხვა ყველაფერი ქონება იმას უნდა დარჩენოდა, მხოლოთ სიცოცხლეში უნდა ეძლივა ზესთვის თვეში შვიდი ფრანკი.

რადგანაც ეჭვი ლენიეზე მიიტანეს, ამიტომ გამოიკვლიეს იმის ცხოვრება, მაგრამ იმის ხასიათში ვერა იპოვეს რა იმ გვარი, რომლითაც შეიძლებოდა კაცის მკვლელობის ახსნა. ამოჩნდა მხოლოთ, რომ იმას უყვარს ერთი იქაური მიკიტნის ცოლი, სახელათ მარიამ ლეპანი, რომელსაც ამის გამო თავის ქმარს სახლიდგან გაეგდო კიდეც; ამას გარდა შეიტყეს, რომ ლენიეს ვალი აქვს: იმას ორი კაცის სამას-სამასი ფრანკი მართებდა.

ცეცხლის დროს ლენიე ძალიან გულმხურვალეთ ჰშველოდა ნივთების გამოტანას; ნივთებში ათი ფრანკი ეპოვა და გამომძიებლებს წარუდგინა; ამას გარდა თითონ იმანვე სთქვა პირველათ, რომ უთოოთ ქურდები იქნებოდენ აქ, რადგან ბებერს კაცს ოთხი ჩაფი თეთრი და ორი წითელი ღვინო ჰქონდაო. ზოგიპირველშივე ეუბნებოდა გამომძიებლებს, რომ ლენიე ამ ცოტა ხანში იძახოდა, რომ ზე მაგდენს ველარ იცოცხლებსო, მაგრამ გამომძიებლებმა ეს ცარიელი სიტყვები არაფრათ არ ჩააგდეს.

მეორე დღეს იქაურმა მღვდელმა გამოსთქვა თავისი იჭვნეულობა ლენიეზე. იმან აჩვენა: „ზე უჩიოდა ლენიეს, რომ ფულს არ მაძლევსო და მე მთხოვა შუამავლობა; მე მშვიდათ უთხარი ლენიეს ეს საქმე და იმან მოუთმენელათ მითხრა, რომ ბებერმა კაცმა თავი მომაწყინაო. სახლს რომ ცეცხლი ედებოდა ლენიე მძიმეთ იძვრებოდა, თითქო არ იყო გაკვირვებული ამითა“. ამასთან მღვდელმა ისიც დაუმატა, რომ მე ლენიესთან ნაჩხუბი ვარო. ლენიეს ესესხა მღვდლისაგან ფული და აღარ მიეცა; ამაზე საქმე შემდგარიყო მომრიგებელ მოსამართლესთან, რომლისთვისაც ლენიეს ეთქვა, რომ მღვდელმა ფული იმიტომ მომცა, რომ ის ჩემ დასა უყვარობს და უნდოდა რომ ჩუმათ ვყოფილიყავიო.

თუმცა ეს ღვდლის ჩვენება ამტკიცებდა ლენიეს ბრალეულობას, მაგრამ რადგანაც ნაჩხუბი იყვნენ, ამიტომ გამომძიებელმა არ მიიღო ის ყურადღებაში.—

ერთი კვირის შემდეგ იქაურმა მერმა მონახა სხვა დამტკიცება ლენიეს ბრალეულობაზე. ერთმა იმ სოფლის მცხოვრებმა—დენიომ სთქვა, რომ ამას წინეთ ორივე ლენიები მამაცა და შვილიც—შარაგზაზე დამეცნენო და მე ქოლგის ბოლო გვერდში ვკარი და დამანებეს თავიო. ერთს ლურჯი ჟილეტი და შალვარი ეცვა და თავზედაც ბერძნული ქუდი ეხურაო. ამის შემდეგ მამაცა და შვილიც დაიჭირეს.

გამომძიებლებმა მამის სახლი გაუსინჯეს და უპოვეს საყელო მოხეული პერანგი და ფუფაიკა, რომლებზედაც საეჭვო ლაქები იყო.

სარდაფში თეთრიცა და წითელი ღვინოც უპოვეს, მაგრამ გემო ზეს ღვინისა არა ჰქონდა. შვილსაც უპოვეს ღვინო, მაგრამ არც ის იყო მოკლულის ღვინისა. ერთი შავი ჟილეტის მეტი, რომელიც ზედ ეცვა, სხვა ვერ ნახეს; ბერძნული ქუდიც ამოჩნდა; ერთს კედელზე სისხლის ლაქა იყო; ამაზე შვილმა-ლენიემ სთქვა, ყასაბს ხორცი მოჰქონდა და ის გასვრიდაო.

მერე შვილის საყვარელმა, მარიამ ლეპანმა აჩვენა სამჯერ ძალიან ცუდათ ლენიესათვის. ამან სთქვა: „ბაზაზისაგან თეთრი საიუბკე ბაიკა მიყიდა ლენიემ, რომ გამომძიებლებისთვის არა ფერი მეთხრობია. დამბაჩით დამაშინა ქმარს გაეყარე, იმასთან ნუ იცხოვრებო; შენს ქმარსაც შევაშინებ, რომ შენ გაგიშვას და მერე ჯვარი დავიწეროთ; ზეს სიკვდილს იმას დავაბრალებ, თუ არ გაგიშვაო; საღამოს შვიდ საათზე, იმ დღეს, რა დღესაც ზე მოკლეს, მე ვნახე ლენიე; ის გაჩქარებული მიდიოდა ზეს სახლისკენ. მერე იმან მითხრა, შეშინებული სახით, რომ ძალიან შფოთით გავატარე წინა ღამეები, რადგან ზეს ღვინოს ეძებდნენო; ახლა კი მგონია თავი დაანებესო. ლენიე მიწვევდა მე ზეს ფერმაში ერთათ ვიცხოვროთო. მე ვკითხე, თითონ სადღა წავა მეთქი? იმან მიპასუხა: „ზე მალე მოკვდებაო!“—მერე ლეპანმა მოჰყვა თავის სიყვარულის ამბავი: ჩემი ქმარი მერის არყის ზავოდში მუშაობდა და ლენიემ შემაცდინა; ის მირჩევდა ჩემი ქმარი მომეწამლა; ერთხელ მითხრა: „ზე სუსტია, ერთი კვერის დაკვრა თავში მაშინვე სულს გააგდებინებს. ერთხელ მე ვკითხე: რატომ შენ და მამა შენი მკვდრის გაჰრის დროს იქ არ იყავით მეთქი. ლენიემ მიპასუხა, რომ ჩვენი მისვლა არ იქნებოდა, ამიტომ რომ ჩვენ კირგი საუზმე ვაჭამეთ იმასაო.

ორივე ლენიები ამ გამოძიების შემდეგ გაგზავნეს ჟირონდის ასსიზის სასამართლოში; იმათ აბრალებდნენ ქურდობას, ცეცხლის მოკიდებას და კაცის კვლას.—ამ სასამართლოშიაც აღმოჩნდენ რამდენიმე ახალი მოწმები, რომლებმაც იმის წინააღმდეგ აჩვენეს.

ექიმმა სთქვა: ამას წინეთ ზეს აციებდა და ლენიემ წამიყვანა იმის მოსარჩენათ; ავათმყოფის დახედვის შემდეგ იმან მკითხა—როგორ არისო და მე უთხარი—ბევრ ხანს არ მოგინდება რენტის ძლევა, მეთქი. ზეს მოკვლის შემდეგ ლენიეს უთხარი, რომ იმ უბრალო ნივთებისათვის, რომელიც მოუპარავთ, კაცს ძნელათ მოჰკლავდნენ, მეთქი.—ამაზე ლენიემ მითხრა, რომ მომკვლელებს სცოდნიათ ჩემი პირობა ზესთან და იმიტომ მოუკლავთ, რომ მე ადვილი გასაბამი ვარ ამ საქმეში.—

ამას გარდა ბევრი სხვა ლენიეს დამამტკიცებელი საბუთებიც იყვნენ და უმეტესი ნაწილი მოწმებისა იმის წინააღმდეგ უჩვენებდენ.—

მოწმების კითხვის შემდეგ, შეიქნა ბაასი პროკურორსა და ადვოკატს შუა. პროკურორმა თავის სიტყვაში მოიყვანა ყველა წვრილმანი გარემოება ლენიეების გასამტყუნებლათ. სხვათა შორის იმან სთქვა, რომ მხოლოდ ლენიე ისარგებლებდა ზეს სიკვდილით და მოკვლის წინაც ამ აზრზე ულაპარაკნია; ცეცხლის მოკიდების დროს ლენიე უგულოთ ჰშველოდა და იმის და მამის სახლში იპოვეს მკვლელობის კვალიო. მერე მიაქცია მოსამართლეების გულის ხმა ლეპანის ცოლის ჩვენებაებს და იმ რჩევას, რომელიც მიეცა ლენიეს ლაპენის ქმრის მოწამლვაზე.

ადვოკატმა ჟერჟერესმა, თავის მხრით, სთქვა, რომ დარწმურებული ვარ ჩემი კლიენტების უმანკოებაზეო. იმან გამოიკვლია მოწმების ჩვენებაები და დაამტკიცა, რომ ისანი უსაფუძვლონი არიან. დენიო, რომელმაც დააბრალა ლენიეს, რომ 21 ნოემბერს გასაცარცვავათ დამეცაო, ირევოდა ჩვენებაში; ადვოკატმა საუცხოოთ დაამტკიცა ლენიეს alibi ე. ი., რომ ის იმ საათზე და იმ დღეს არ ყოფილა იქ, სადაც დენიო ამბობს, მაშა სადამ არც დანაშაულობა დაებრალება იმას. ლენიე რომ ვახშმათ 21 ნოემბერს პატერინოსთან ყოფილა, ამაზე ყველანი ემოწმებიან იმას. მე არ მჯერა, რომ ლენიეს ზეს სიკვდილზე ელაპარაკნოს; მე მგონია, რომ ეს საზიზღარი ჭორებია. ის სოფელი, რომელშიაც მოხდა ეს ამბავი სავსეა გაუნათლებელი მცხოვრებლებით.—ლენიეს პირობას ზესთან ყველანი ხუმრობით გაიხსენებდნენ და ლენიეც ხუმრობითვე პასუხს აძლევდა. ზე რომ თავისი წერით მომკვდარიყო, ეს ხუმრობა შეუნიშნავათ დარჩებოდა; მაგრამ, რაკი ის მოკლეს, ახლა ამ ხუმრობამ ყველას გულის ყური მიიზიდა. ლაქების სისხლათ მიღება გაუშინჯავათ არ შეიძლება, რადგან სამი მოწმისაგან მარტო ერთი ამბობს, რომ სისხლისააო? ამასთან გლეხის ცხოვრებაში განა არ შეიძლება რომ სისხლით გაისვაროს კაცმა ტანისამოსი? ფერმასთან ურმის კვალი უპოვიათ და, რადგანაც ლენიეს მამას ურემი აქვს, ამბობენ, იმას წაუღია ღვინოო. იმას კი არ ამბობენ, რომ, თუ ეს ასე ყოფილიყო, მაშინ ლენიე ბევრს შემოეყრებოდა გზაზე, როგორც კვალიდგანა სჩანს. ყველა მოწმებში განსაკუთრებით შესანიშნავია მარტო მარიამ ლეპანის ჩვენება, მაგრამ მაგის ჩვენება ჩვენებას კი არა დაბეზღებასა გავს. ყოველ საქმეში კაცს ჯერ თავი გარემოებაები მოაგონდება და მერე უბრალოებიც; მაგრამ ლეპანი უკუღმა მოიქცა: ჯერ წვრილმანი გარემოება სთქვა და მერე უფრო შესანიშნავები! ჯერ სთქვა, რომ ლენიემ მითხრაო, რომ მე და მამა ჩემმა ზეს ღვინო მოვპარეთო და მერე კი მოკვლის წინ მელაპარაკა ღვინოზედაო? „შემდეგ ადვოკატი მიუბრუნდა მარიამ ლეპანს და ყვედრებით უთხრა:“ თქვენ ამბობთ, რომ რაც ლენიები დაჭერილნი არიან, მას აქეთ სიზმრები გაწუხებენ? მე მჯერა. ეგ იმის ნიშანია, რომ თქვენი სინიდისი თქვენვე გტანჯავთ!“ მაგან უნდა დაგვარწმუნოს, რომ ლენიემ მიძალადაო, მაშინ როდესაც მაგის გარყვნილება არავსითვის დაფარული არ არის. ქმარმა ერთხელ გააგდო და ახლა ისევ დაბრუნდა თავის სახლში. მე მგონია, რომ ეს ქმართან შერიგება მაგან იყიდა იმ უსირცხვილო ტყუილებით, რომელსაც საწყალს ლენიეს აბრალებს?“ როდესაც 21 რიცხვის alibi დაამტკიცა, მერე გადავიდა 15 რიცხვის alibi-ზე და ამტკიცებდა, რომ იმ საშინელს სამს დანაშაულს არ მოიქმედდა ლენიე ისე მცირედი ინტერესის გამოო. თუმცა ლენიე განთავისუფლდებოდა შვიდი ფრანკის ყოველთვე მიცემიდან, მაგრამ იმას რატომ არ ფიქრობთ, რომ ფერმის დაწვით იმას ეკარგებოდა 500 ფრანკი ერთათ! არა! ამ საქმეში არის რაღაცა ჩუმი შური და განდევნა ლენიეს ცხადი მტრებისაგან! მოსამართლეები ფრთხილათ უნდა იყვნენ ამ საქმის გარდაწყვეტის დროს, რომ მერე აღარა სთქვან: „ჩვენ შევცდით და შეცდომაც ჩვენი აღარ გასწორდება“. ამით გაათავა ადვოკატმა თავის სიტყვა.

მერე პრეზიდენტმა მოუყარა თავი პრენის აზრებს და ნათქვამს (მოსამართლეები) შეიდინენ სარჩევით. ცოტა ხნის შემდეგ იმის გამოეგინენ და წაიკითხეს განაჩენი, რომელშიაც ეწერა, რომ „მამა ლენი სრულებით უბრალო არისო; შვილი ქურდობაში უბრალოა, მკვლელობაში და ცეცხლის მოკიდებაში კი ბრალი აქვს, მაგრამ ბრალის დასამცირებელი გარემოებანი უნდა მიეცეთ ყურადღებაში.“

ახალგაზდა ლენიეს გადაუწყვეტეს მთელი სიცოცხლე კატორგაში მუშაობა.

ამის შემდეგ მამა შეუდგა ცნობების შეკრებას თავისი შვილის უბრალობის დასამტკიცებლად; ამას დიდის გულმოდგინებით ეხმარებოდა იმათი ადვოკატი—შერჟერი.

(დასასრული შემდეგ №-ში).

## ახალი დროს ოცნება.

შევრჩევ ვფიქრობ მე იმაზე —
რისთვის მინდა მე სიცოცხლე;
ქვეყანაზე რას მოველი,
რას მაშინებს მე სიკვდილი?

—

რაც უნდა ჩვენ მან ვებრძოლოთ,
სიბრძნის ძალა მოვიხმაროთ,
ის თავისას არ დაიშლის
და ყველას ბოლოს ის გვძლევს.

—

ბევრი არიან სოფელში
ძლიერნი, სახე დიდებით,
რომელნიც სცდილან თვის ძალით
საქმეებს მთელს ქვეყანაზე.

—

მაგრამ სიკვდილის მძლეველი
შერხად ენახე, არ სად არი....
ჩვენზე, ვცხოვრებ მისთვის, რომ
ან დღეს, ან ხვალ უნდა მოვკვდე!

—

მაშ სოფელი მე რათ მინდა,
თუ იმასა ვგრძნობ კარგათა,
რომ დღეს, ან ხვალ უნდა მოვკვდე
და ქვეყანას დავაიწყდე.

—

ამ დროს ფიქრში გამიარა
შეცრათა ერთმა აზრმა.....
გამალვიძა, შემაფიქრა,
აღმიტაცა სიხარულმა.

—

ზული ამევსო იმედით,
ჩემს თავს უთხარ დაცინებით:
—„შედურო, რას დალონდი,
სულით, ხორცით რას მოეშვი?

—

—აგრე როგორ დაგავიწყდა,
რომ ქვეყანა უკვდავია;
და, თუ ვხედავთ, ერთი კვდება,
სხვა ხომ ნაცვლად იბადება!

—

თუ ჩავუფიქრდებით კარგათა—
არა ვისი სიკვდილიცა
არ აუქმებს არა რასა,
სცვლის მხოლოდ საგნის სახესა.

—

როდესაც ვინმე მოკვდება,
მაშინ ყველა ის სტიხია,
რომლითაც არს შედგენილი:
მისი სისხლი, ხორცი, ძვალი,

—

უპირველესა თავისსა
მიიღებს იგი სახესა.
რაც უნდა მრავალი მოკვდეს,
ქვეყანას არას დააკლებს.

—

რიგი მიდის, რიგი მოდის,
სუფევს ბუნება მარადის,
სუფევს კაცობრიობაცა,
მისი სოფლის უფლებაცა.

—

მაგრამ, ჩვენ საუბედუროთ,
ბევრნი ვწუხვართ, ბედს უჩივით;
თუმც ყველაზე ვმეფობთ ჭკუით,
მაგრამ, რომ მიმოვიხილოთ,

—

დავინახავთ—ყველგან არი:
ფიქრი და უფიქრელობა,
მუშაკობა—ზარმაცობა,
ვაება და სიხარული.

—

აქ შევხვდებით დიდსა კაცსა
ამ სოფლისა ნებიერსა;
ღონის-ძიებით სავსესა,
უჯავრელსა, უფიქრელსა.

—

ფიქრობს შექცევაზე მხოლოდ,
ფულებს ჰფანტავს უსარგებლოდ,
არ იმეტებს არც ერთსა გროშს,
რომ დავრდომილს შეეწიოს.

—

აქვე ვნახავთ სულ ღარიბსა,
მუდამ მტირალს, დაჩაგრულსა,
და რომ ჰკითხოთ: „სტირი რასა“?
ის მოგიგებთ ამ პასუხსა:

—

„შინ მიტირიან შვილები,
მუდამ მშიერნი—შიშველნი;
თვალის სინათლე და ჯანი
სულ მელევა მე შრომაში;

—

მაგრამ ეს არს ბედი ჩემი—
რაც უნდა ვიშრომო ბევრი,
ძლივს ვიშოვი ლუკმა პურსა,—
ნახევარ-დღისა საზრდოსა.“

—

რადგანაც კაცობრიობა
არას დროს არ მოიშლება,
იმას მაინც ჩვენ ვეცადოთ,—
ცხოვრება გავიადვილოთ.

—

ბუნება უხვად შეიცავს
ჩვენ საზრდოდ ღონისძიებას,
მაგრამ, ჩვენის უმეცრებით,
სარგებლობა ჩვენ არ ვიცით.

—

ჩვენ ქვეყნის სიკეთისთვისა
სწავლა ხალხში გავავრცელოთ;
როგორც უნცროსს ძმას—გლეხკაცსა,
ისე სხვასაც ჩავაგონოთ,

—

რომ კაცის კეთილდღეობა
მარტო ერთის სიმდიდრითა
სულაც ვერ მოიპოება;
რადგან მდიდარსაც ხშირათა

—

გაჭირვება მიადგება,
და, თუ იმისი მოყვასი
არის ღარიბი, ბედ-კრული,
მას როგორ მოეხმარება!

—

დაუფიქრდეთ ჩვენსა ბედსა,
ჩვენს უბედობის მიზეზსა;
და მოვიპოვოთ წამალი,
რომ მოვსპოთ ბედ-კრულობაი.

—

ულონოს მივსცეთ ჩვენ ძალი,
უსახლოს სახლი და კარი;
ვიზრუნოთ—მოვსპოთ რითიმე
სიზარმაცე, სიღარიბე.

—

ყველა უნდა იქადოდეს:
სხვისა შრომას არა ვჭამო,
სარგებლობა ქვეყნისათვის
სხვაზე ნაკლებ არ მომაქვსო.

—

ვიცი, ძნელია ამ აზრის
აღსრულებაში მოყვანა,
ჩვენ მოგვინდება ამისთვის
დიდი შრომისა გაწევა;

—

მაგრამ, დიდის სურვილითა,
ურთი-ერთის შეწევნითა,
მისსა მცირედსა ნაწილსა
ხომ ავასრულებთ მაინცა.

—

ჩვენ შემდეგ სხვაც შეუდგება
ამ საქმის წარმატებასა
და ჩვენი შთამომავლობა
დააგვირგვინებს იმასა.

—

მცირედი შემწეობაცა
გვიახლოებს კეთილ დღესა,
როგორც ამბობს ეს ანდაზა:
„ცვარი ცვარს ჰკარ, ზღვათ იქცევა.“

—

ცვარი ზღვაში თუმც არა სჩანს,
მაგრამ დაუკარგავია;
ასე მცირე სიკეთეცა
მარად დაუვიწყარია.

—

ვისაც-კი სიკეთის თესლი
ჩაუგდია ბედის ჯამში,
მასზედ, მითხარით, ვინ იტყვის,
რომ ის მკვდარია ქვეყნისთვის!

დარია მამაცაშვილი.

25 აგვისტოს, 1869 წ.
თბილისი.

## სხვა და სხვა ამბავი

კემბრიჯის უნივერსიტეტსავით დუბლინისამაც (ირლანდიაში) მისცა ქალებს ლექციების სმენისა და ეგზამენის დაჭერის ნება; მაგრამ, იმათ სხვა კურსს უკითხავენ ხოლმე; ეგზამენის დასაჭერათ იმათ უნდა იცოდენ: სამღვთო-წერილი, ანგლიის ისტორია, გეოგრაფია, ანგლიური ენა და ლიტერატურა, ახალი (ფრანციზული და ნემეცური) ენები, ლათინური ენა, მატემატიკა, ბუნების ისტორია, ფილოსოფია და მუზიკა.—

—

ამერიკის შეერთებულ შტატებში ისე, როგორც სხვა ბევრ ქვეყნებშიაც, წელს დიდი გვალვა ყოფილა; ასე რომ დასავლეთის და სამხრეთის შტატებში ძალიან ნაკლებ მოსავალს მოელიან თურმე.—

## სავაჭრო ცნობები.

მომრიგებელი მოსამართლე ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის განყოფილებისა მოიწვევს მემკვიდრეებს ზუგდიდის უეზდს მცხოვრებელი ქრისტესია ზვაჯავასას, რომელიც გარდაიცვალა 1868 ოკტომბერს, სოფელს ჩოჩხაში ოზურგეთის უეზდში, რათა იმათ განაცხადონ რომელსამე სასამართლოში თავიანთ უფლება იმის შემდეგ დარჩენილს მოძრავსა და უძრავს ქონებაზე იმ ვადით, რომელიც ამისათვის არის აღნიშნული 1241 მუხლში სამოქალაქო წესდებულების მეათე ტომში. (ვადა ექვსი თვეა გამოცხადების შემდეგ).

—

23 აგვისტოს პეტერბურღის ბირჟაზე პირველი შინაგანი სესხის ბილეთები გადიოდა — — — — 173 მან. და 50 კაპეიკათ
მეორე სესხისა — 172 — — $87^{1}/_{2}$ — —
ხუთ სარგებლიანი (5%) სახელმწიფო ბანკის ბილეთები — — — — — — — 89 მან.
5% გამოყიდვის მოწმობაები — — 85 მან.
ნუხის აბრეშუმი ნიჟნში გაიყიდა—220 მან. ფ.
დერბენდისა — — — — — — 115 — —
ნახევარი იმპერიალი ღირს — 6 და 50 კაპ.
პური—ჩეტვერტი (7 კოდი) — 12 — 50 —

## ფოჩტა

თბილისიდან ფოჩტა მიდის: [illegible] თ ო ბ ი თ ერევანში და ჯულფისაკენ.—ს ა მ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ ბაქოს გუბერნიაში და შემახაში—მსუბუქი ფოჩტა.—ო თ ხ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ რუსეთში, ქუთაისში—ფოთამდინ, ერევანში, ალექსანდროპოლში და ნოვობაიაზეთში.—ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ — რუსეთში.—პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ—ქუთაისში, კახეთში და ერევანში. შ ა ბ ა თ ო ბ ი თ—რუსეთში და შემახაში.—კ ვ ი რ ა ო ბ ი თ რუსეთში და ქუთაისში.

## ტელეგრაფი.

დეპეშის გ საგზავნი ფასი თბილისიდან: ქუთაისში, ბაქოს, ვლადიკავკაზს, ორპირს, ფოთს, ერევანს, ახალციხეს, ნუხას, შემახიას—1 მან.. ასტრახანს, ქერჩში, მოსკოვს და ოდესსას—2 მან.—ბორს, სიღნაღს—50 კაპ.—პეტერბურღს, ჟენევას, სტამბოლს—3 მან.—პარიჟს, ლიონს, მარსელს—3 მან. და 38 კაპ.

## საბიბლიოგრაფიო ცნობა.

ახლად დაბეჭდილი პეტერბურღში თ. ილ. ჭავჭავაძის მოთხრობა

## „კაცია-ადამიანი“

მიღებულია ჩვენში და იყიდება შემდგომ ქალაქებში:

თ ბ ი ლ ი ს შ ი—მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლებში.

ქ უ თ ა ი ს შ ი—უ. გერასიმე კალანდარიშვილთან.

გ ო რ შ ი—უ. ქრისტეფორე მამაცაშვილთან.

ა ხ ა ლ ც ი ხ ე შ ი—უ. სტეფანე ბეთანოვთან.

ო ზ უ რ გ ე თ შ ი—უ. მიხეილ ქიქოძესთან.

ფ ა ს ი ა თ ი შ ა უ რ ი.

## სახალხო სიმღერების გ ა მ ო ც ე მ ა.

ფასი თითო ნუმრისა ყველგან 2 კაპეიკი ანუ 4 გროში.

ისყიდება უ. მელიქიშვილის სტამბაში, პოლიციის ახლოს.

„მნათობის“ სტამბაში, პუკიაში, აჭალის ქუჩაზედა.

უ. ალადათოვის წიგნის მაღაზიაში.


## საბიბლიოგრაფიო ცნობა.

ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, მეოთხე გამოცემით გამოვიდა, რიცხვით ექვსი ათასი ეგზემპლიარი, და ისყიდება: სასულიერო სემინარიაში და უ. ვართანოვის წიგნების მაღაზიაში. მცირე ხნის განმავლობაში ყველა საქართველოს ქალაქებში გაიგზავნება გასასყიდათა; ფასი ყოველგან ორი შაური.


Дозволено цензурою. Тифлисъ, 4-го Сентября, 1869 г. ს. მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში. დროებითი რედაქტორი ს. მესხი. გამომცემი ს. მელიქიშვილი.